# დროება

№ 204 ოთხშაბათი, 16 სექტემბერი 1909 წ. № 204

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დამეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური —— დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს, 1909 წ., № 2.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ, ბ-ნთ კ. მესხის და გ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## „ჭირვეული ცოლის მორჯულება",

კომედია 4 მოქმედებად შექსპირისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 26 სექტემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ცხოვრების გარეშე", პროტოპოპოვისა, «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(4—2) რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი ხვირელი.

## კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი"-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1909 წ. 28 ენკენისთვეს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება თელავში დილის 10 ს.

კრებამ უნდა განიხილოს:

წლიური ანგარიშები 1906-1907 და 1907-1908 წლებისა და ხარჯთ-აღრიცხვა;

მოხსენება საქმის აწინდელ მდგომარეობის შესახებ და ზომები საქმის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოების ახალ წევრების არჩევანი;

არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა და გამგეობის სამის წევრისა და სხვა მორიგი საქმეები.

რადგან კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ იგი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს (წესდების § 40). (3—6—2)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი
აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სნით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—18)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე
აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—7)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე
დაბა ყვირილაში
მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—18)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის
ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—7)

**ექიმი** ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.
იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—9)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—61)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—13)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—0)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 3 (უ)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი.
კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—15)

**ექიმი** მ. მაგაკიანი.
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—28)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3— საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოსვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**იაკ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნავიცკი**—ქალ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^{1}/_{2}$ ს.

**არღუთინსკი**—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—ნ.—92)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—248)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში
9 ივლისიდამ ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—65)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სხივ. კურნალობისა მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 158)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—6)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. **ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. **ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. **კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე სომრებისაგან. (100—ზალ.—6)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა. ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, კ. მ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინ.-კანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. **ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ვ. ა. **პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—156)


## მოწოდება

ოზურგეთის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა სთხოვს წიგნების ავტორებს და გამომცემლებს, ნუ დაიშურებენ თითო-ოროლა ცალს თავიანთ თხუზულება-გამოცემისას და ხელი შეუწყონ განათლებას მოწყურებულ ღარიბ გურულ ხალხის განვითარებას. ყოველი შემოწირულება გამოცხადებული იქნება გაზეთში. წიგნების და აგრეთვე ფულის გამოგზავნა შეიძლება სამკითხველოს ან გამგეობის ერთ ერთ წევრის სახელზე.

გამგეობის წევრები: ბ. ბებურიშვილი. დიმ. ერისთავი. ნიკო კვაშალი. ხტან. კალატოზიშვილი. ს. თავართქილაძე.

(2—უ.—1)


გამოვიდა და იყიდება

## „ქება-ქებათა" სოლომონისი,

კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და

## „სულამიტ",

ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—3)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—ნ.—8)

## სამასწავლებლო

ინსტიტუტის უკანასკნელ კურსის მოწაფე ამზადებს და წრთვნის ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლისათვის. თანახმაა შრომის ფასად ოთახი და სადილი მიეცეს. ადრესი; Учительскій Институтъ, Г. Ніорадзе. (4—447—3)

## იყიდება

იაფად სააგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს. (50—ნ.—28)

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Соранан" Гачечиладзе. (30—ნ.—15)

გამოვიდა

## დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

## ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების" რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების" რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამ აბაზად

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „მოთხრობები". (10—უ. 9)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

13 ოქტომბერს გამოვიდა ახალი ჟურნალი „ერი". ჟურნალი ყოველკვირეულია. პირველი ნომერი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. შინაარსიანი წერილები, მშვენიერი ენა. პირველ ნომერშივე მოთავსებულია (თავი) პროფ. ი. ჯავახიშვილის თხზულება: „ქართულ სამართლის ისტორია", მოთხრობა ი. ელეფთერიძისა, რომელსაც კარგა ხანია ალარაფერი დაუწერია ან უკედ, არ დაუბეჭდია, ვაჟა-ფშაველას ლექსი, Bâton-ის წერილი: „ერის უფლება" (დასაწყისია ამ ნომერში), ნ. ლორთქიფანიძის „მინატიურები" და სხვა. არის აგრეთვე შინაური მიმოხილვა. მოწინავე წერილში რედაქცია გამოსთქვამს თავის მრწამსს. იგი ეხება ჩვენი ერის აწინდელ ვითარებას.

როგორც ყოველ პიროვნებას აქვს მზიანი და სუსხიანი დღე, ხან ჯანსაღად და ბედნიერად გრძნობს თავს, ხან სნეულება და გულგატეხილობა ეტყობა, ისე ერის ცხოვრებაშიაც მოიპოვება ძლიერებისა, იმედიანობისა და აგრეთვე დასუსტებისა და დაქუცმაცების ხანა. ქართველი ერი ამ ასი წლის განმანმავლობაში განიცდის სწორედ ამ დაქუცმაცების ხანას და, ვინ იცის, თავს როდის დააღწევს იმ მრავალგვარ მიზეზებს, რომელნიც მის ნორმალურ ზრდას და განვითარებას ხელს უშლიან. საზოგადოდ ჩვეულებრივ ურთიერთობაში ჩვენ ვგმობთ, როცა ერთი ადამიანი მეორეს ატყუებს, როცა ერთი მეორეს სძარცვავს და ვერაგობით სჯობნის. სულ სხვას ვხედავთ საერთაშორისო დამოკიდებულებაში. აქ მოტყუება, ძლიერის მიერ სუსტის გაქელვა, გასრესა—ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ ძლიერი ყოველთვის მართალია, მოტყუება ჭკუის ნიშნად ითვლება, აქ მხოლოდ ძალა მოქმედებს, და რამდენადაც ეს გაბატონებული ძალა უკულტურო და უხეშია, იმდენად მისი ბატონობა გამანადგურებელი, დამცემი და შემავიწროებელია დაჩაგრულისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მთელი ჩვენი უკანასკნელი ისტორია. ერის ცხოვრების ყოველ სფეროში ისეთი სისტემა გაბატონდა, რომელიც ცდილობს ჩვენს დაცემას, განადგურებას, მოსპობას, სრულს დეზორგანიზაციას. ყოველი ხალხი თავის ... განუწყვეტელ, თანდათანურ მუშაობითა და დაზოგვით. თაობა თაობაზე ღვრის ოფლს, წელებზე ფეხს იდგამს და ამნაირად ნელ-ნელა აუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას, ხოლო ასეთი თანდათანურ დაზოგვის პროცესი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივი წყობილება ამ დაზოგვილს იფარავდეს, არ ანადგურებდეს, არ სპობდეს. ჩვენ სულ სხვას ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში. თავიდან დაწყებული ხალხის სიმდიდრე, ხალხის ნაამაგარი იფლანგება, ისპობა, ხალხი აუტანელ ბეგარას და გადასახადებს იხდის, ხოლო სამაგიეროდ მას არაფერი უბრუნდება. ესეც ცოტაა. გაიხსენეთ მე-19 საუკ. დასაწყისში პროვიანტის საზიდავად გაწვეულ ხალხის ბედი, როცა გლეხს ათასობით ელეპებოდა საქონელი, ხოლო იმ მცირედ სასყიდელსაც ვერ იღებდა, რომელიც მისთვის დანიშნული იყო. ახლა გადაავლეთ თვალი თანამედროვე ცხოვრებას. ვის ხელში ვართ? ვინ განაგებს ჩვენს სოფელს? როდესაც სოფელს ართმევთ უფლებას თავისი კაცი აირჩიოს, თავის ს. ქმეების გასაძღოლად, ცხადია, თქვენ გგონიათ რომ სოფელში შესაფერ მომზადებისა და პატიოსნების მქონე ადამიანი არ მოიპოვება. მერე ვინ მოგყავთ? რა ზნეობრივ და მოქალაქობრივ ავლადიდების მქონე? ამაზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან ჩვენი აზრი ყველასათვის ცხადია, ცხადია, რომ ეს არის მხოლოდ დაშინებას, დარბევის სისტემის განხორციელება, ხოლო ასეთი სისტემა ადამიანს ცხოვრებაზედ გულს უცრუებს და როცა მას ხვალინდელი დღის იმედი არ აქვს, დღესაც ნაკლების ხალისით მუშაობს, ნაკლებს ჰქმნის მომავლისთვის. აშკარაა, ეს სისტემა ჩვენი ეკონომიური დაცემის სისტემაა. რადგანაც ეს ხალხისთვის დამღუპველია და არც რაიმე მოსაზრებით გამართლდება, ამიტომ ჩვენ ვეცდებით, რამდენადაც კი საშუალება შეგვწევს, ყოველ შემთხვევით ვისარგებლოთ, რომ გამოვაშკარავოთ მისი მავნებლობა და აუტანელობა.

რედაქცია შემდეგ ეხება ქართველთა სულიერ კულტურას და აქაც აღნიშნავს დაქვეითებას, დაცემას. მიწასთან გასწორეს ერის სარწმუნოებრივი უფლება, რომლის დასაცველადაც 1500 წლის განმავლობაში ქართველს ხელიდან ხმალი არ გაუგდია. მწერლობაც ასევე დაჯაბნებულია. სწავლა-განათლება ხომ გადაგვარების საქმეს ემსახურება.

რას ვხედავთ ჩვენში? ასი წელიწადია ჩვენში განათლება გადაგვარებას დაუკავშირდა. ვინც სწავლობს, იმას ისეთ პირობებში აყენებენ, რომ დედის ძუძუსთან ჩანაწოვ სამშობლო ენას და მის ლიტერატურას ავიწყებენ. შედეგი ის არის, რომ ეგრედ წოდებული „ინტელიგენცია" და ხალხი გაითიშენ, ნასწავლი თავის ცოდნას ვერ აწვდის ხალხს, ცოდნას სხვა ენაზე ვიძენთ, რაც იწვევს სამშობლო ენის გაღარიბებას, მისი ზრდის შეჩერებას და მთელი ერის გონებრივ განვითარების დამახინჯებას. სკოლა გადაიქცა ეროვნულ გადაგვარების იარაღად. ამავე მდგომარეობაშია სასამართლო და სხვა საზოგადოებრივ ხასიათის დაწესებულებანი. ჩვენ ვერ შეურიგდებით ასეთ მდგომარეობას და რამდენადაც ძალა შეგვწევს, ვეცდებით დავიცვათ ჩვენი ეროვნულ არსებობის უფლებანი.

ძველის ძველი ამბავი, რომ ჩვენებური მემამულეები ხელს უწყობენ ტერრიტორიის დაკარგვას, ამის შესახებ ჟურნალი სწერს:

მემამულეობა ნიშნავს უფლებას, ხოლო ყოველი უფლება, რომელსაც თან არ ახლავს მოვალეობა, ბოროტებად იქცევა. ჩვენი დიდი მემამულენი თავისი უფლებით უხვად სარგებლობდნენ, ხოლო მათ დაავიწყდათ მოვალეობა არამც თუ თავის ერის წინაშე, არამედ თავის შვილების წინაშეც. და აი გაჩნდა ჩვენში მამულების დაგირავება. ორივე ამ მოვლენას მეტად გამანადგურებელი შედეგი მოსდევს ჩვენთვის. მამულის დავალიანება მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს, როდესაც დაგირავებით აღებული ფული მამულსავე უბრუნდება და ხმარდება მის დამუშავებას და საზოგადო ექსპლოატაციას. ხოლო როცა დაგირავებულის ფული ქეიფში იფლანგება და ვალი კი ისევ ხალხს აწვება თავზე, ... ვთქვათ, რომ ეს მფლანგავი მემამულენი პირველი ეროვნული ექსპროპრიატორები არიან. კიდევ უფრო მავნენი არიან ხალხისთვის ის მემამულენი, რომელნიც მამულებს ჩალის ფასად უცხო ხალხს უყრიან ხელში. ტერრიტორიალური საკითხი უმწვავეს საკითხად გადაიქცა ამ ბოლო დროს ჩვენი ეროვნებისათვის. დროთა განმავლობაში გალხი გამრავლდა, მასთან შიშიანობის დროს ბევრი ეძებდა თავშესაფარს და იმალებოდა კლდე-ღრეებში. ორივე ეს მოვლენა მოითხოვს თავისუფალ გლეხების დასახლებას. სახელმწიფო მიწები სადაც კია, სხვა მიზნისთვის მზადდება ხოლო მემამულეთა საკუთრება კი სხვა ეროვნების წარმომადგენელთ უვარდებათ ხელში. ჩვენ სუსტნი ვართ ამ მოვლენასთან საბრძოლველად, მაგრამ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მაინც გავაფრთხილოთ მფლანგავი მემამულენი და საკადრისი ადგილი უჩვენოთ მათ ჩვენს ისტორიაში. მესაკუთრე ელემენტი, რასაკვირველია, ყველა მფლანგავი და მფანტავი არ არის. ჯერ ერთი, უნდა აღვიაროთ, რომ ქართველთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ წვრილი მესაკუთრენი. მათი მატერიალური წარმატება, მათი ფეხზე დადგომა და შეკავშირება, მათი გონებრივი ზრდა ჩვენი ეროვნულ განვითარების მაჩვენებელი იქნება. ამიტომ უმთავრესი ჩვენი ყურადღება უნებლიეთ მათზე იქნება მიქცეული. სადაც კი მშრომელსა და მესაკუთრეს შორის კონფლიქტი ჩამოვარდება, ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მშრომელის მხარე დავიჭიროთ. მაგრამ ერთი პირობით. ქვეყანა, სადაც წარმოება არ არის, დაღუპულია. ხოლო წარმოებას თავისი კანონები აქვს. და თუ მუშა თავის ბრძოლაში ისე შორს წავა, რომ თვითონ წარმოებას ძირს გამოუთხრის და მას შეუძლებლად გახდის, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვართ შევაჩეროთ ის, რადგან მისი მოქმედება მასაც ღუპავს და ქვეყანასაც ავნებს... ჯერ ჩვენ განვითარების ისეთ საფეხურზე ვართ, როცა წარმოება თავის გასავითარებლად განსაკუთრებულ ზრუნვას და მოვლას მოითხოვს. მრეწველობას ქმნის არა მარტო მრეწველი, მისი პირდაპირი მომქმედი არის მუშა. და თუ მუშა მხოლოდ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იმუშაოს, განსაზღვრულ დროსაც რაც შეიძლება ცოტა გააკეთოს, თუ ის ნამუშევარის ღირსებასაც ყურადღებას არ აქცევს, ცოტაოდენი სიმპატიით მაინც არ ეპყრობა თავის

ხელოობას, მაშინ ცხადია, მრეწველობა წინ ვერ წავა, თუნდაც გენიოსიც ხელმძღვანელობდეს მას.

დასასრულ ჟურნალი აღნიშნავს ჩვენ დეზორგანიზაციას.

დღეს ჩვენი ერი მოგვაგონებს იმ დაობლებულ ოჯახს, სადაც კერა სანახევროდ ჩამქრალია და ობლად დარჩენილნი უსუსურნი ძმები უფრო ერთმანეთის წვრილმან კინკლაობაში ატარებენ დროს, ვიდრე თავის შერყეულ ოჯახის აღდგენის და აღორძინების ცდაში. ძნელია ეროვნული ცხოვრების გაჩაღება, ერის ყველა შემოქმედ ძალების ამოქმედება, როცა ერს არა აქვს თავისი შემაკავშირებელი ორგანიზაცია. მაგრამ სიძნელე კიდევ არ ნიშნავს სასოწარკვეთილებას. ამ სიძნელეში უფრო გვმართებს სიმხნევე და შეუჩერებელი მუშაობა ჩვენ აღორძინების უკეთეს მომავალის მოლოდინში. ხოლო ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს ყოველ სფერაში: ეკონომიური გაძლიერება, საწარმოვო ძალების მეტის ნაყოფით და დაზოგვით გამოყენება, შრომის განაყოფიერება, ნაწარმოებთათვის შესაფერი ბაზრის მოპოება, გონებრივი და ესთეტიური განვითარება, ლიტერატურის და ხელოვნების გაძლიერება, შინაგანი ზრდა, გარეშე განმანადგურებელ ძალებისაგან თავის დაცვა და ეროვნულ თავმოყვარეობის ამაღლება—აი რაა ჩვენი მისწრაფება. ამ მისწრაფებაში ჩვენ ვეცდებით რამდენადაც შევძლებთ პოზიტიურად, უფრო პრაქტიკულად, რეალურ პირობების მიხედვით ვიმუშაოთ და ამით შეძლების და გვარად ჩვენ მოქალაქობრივ მოვალეობას ვემსახუროთ.

ვუსურვებთ წარმატებას ახალ და ნორჩ ჟურნალს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14-15 სექტემბერი

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** სეპეხდარი დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტად, ალეუს-სალთანე—გარეშე საქმეთა მინისტრად. მთავრობამ ყველგან კაზვინისა და ასტრაბადის გარდა ახალი გუბერნატორები დანიშნა. ხვალ კაზვინში მიემგზავრება სიდულ-დოულე, ასტრაბადში—ამირაზანი.

[illegible] დასცა 200,000 მანეთი ფულად და 400,000 მანეთის ვექსილი. ზილისალთანე ენზელიდან უკვე გაემგზავრა ევროპაში.

## საზღვარ-გარეთ.

**მულენი.** (ალიეს დეპარტამენტი). დირიჟაბლი „რესპუბლიკი“ ფრენის დროს ტრიკოლისა და ბალნ[ც]ვოს შუა აფეთქდა. დირიჟაბლში ოთხი კაცი იჯდა. ოთხთავენი დაიღუპნენ. დირიჟაბლი სულ დამტვრეულია.

**ფრანკფურტი.** 20-27 აგვისტოს აქ მოხდება ჰიდროპლანების გაჯიბრება. უკვე თანხმობა განაცხადა 12 ავიატორმა, მათ შორის, ბლერიომაც.

**მელილია.** ატალაგონში ხალხს და პოლიციას შეტაკება მოუვიდათ. მტერი სულით დაეცა. იმედი აქვთ, რომ ომი მალე გათავდება. გუშინ, 12 აგვისტოს, აუარებელმა მაროკელმა მორჩილება განაცხადა.

**მულენი.** როგორც გამოირკვა, დირიჟაბლი „რესპუბლიკი“ მიტომ აფეთქებულა, რომ—ბულლი გასტეხია: ნატეხს გაუხვრეტია გაზით სავსე ტილო. აფეთქების დროს დირიჟაბლი 200 მეტრის სიმაღლეზე იყო. დირიჟაბლის აფეთქებისთანავე იმწამსვე დაიხოცნენ ყველა ავიატორები, გარდა ლეიტენანტი ბარსესი, რომელმაც 10 წუთი კიდევ იცოცხლა.

**ბუდაპეშტი.** „კორბიუსა“ იუწყება: 12 სექტემბერს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიიღო მინისტრ-პრეზიდენტი ვეკერლე. ვეკერლე სამინისტროს გადადგომას თხოულობს. იმპერატორმა სამინისტროს გადადგომის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღო. მოსალოდნელია, რომ სამინისტრო გადადგეს, რადგან სამშაბათს, 15 სექტემბერს, ვეკერლე დეპუტატთა პალატაში სამინისტროს გადადგომის შესახებ განცხადებას შეიტანს. ხმა დადის, რომ ახალ-სამინისტროს შედგენას კოშუტს მიანდობენ.

**მელილია.** 12 სექტემბერს ესპანელების ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა ტანინის სიმაგრეებზე. მცირე ბრძოლის შემდეგ ესპანელებმა დაიპყრეს ტანინის სიმაგრეები. მავრებს [illegible] ესპანელების ზარალი მცირეა. ესპანელებს აზრად აქვთ ტანინის სიმაგრეები გაამაგრონ და აქედან იმოქმედონ.

ალგესირასიდან იტყობინებიან: მავრებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს ესპანელებზე, მაგრამ ესპანელებმა უკუ აგდეს. მავრებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**პარიზი.** დირიჟაბლ „რესპუბლიკის“ დაღუპვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში. დიდი და პატარა დაღუპულ ავიატორებს გლოვობს: გაზეთმა „ტან“-მა ხელის მოწერა გამართა. შეგროვილის ფულით გააკეთებენ სამხედრო დირიჟაბლებს.

**მელილია.** ოფიციალურად იტყობინებიან: ესპანელებმა დაიპყრეს პადორი და ახლო-მახლო მდებარე სიმაღლეები. აუარებელმა მავრმა მორჩილება განაცხადა. მათ ესპანელებს 60 თოფი გადასცეს.

**მულენი.** სამხედრო ინჟინერმა დაათვალიერა აფეთქებული დირიჟაბლი „რესპუბლიკი“. ინჟინერის სიტყვით დირიჟაბლის აფეთქება ბულლის გატეხას არ გამოუწვევია.

**პეკინი.** დაიწყეს კალგანის რკინის გზის კეთება. მთავრობის ბრძანებით ტიბეტში ფოსტა იმუშავებს.

**პარიზი.** სამხედრო მინისტრმა გენერალ როკესაგან მულენიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: დირიჟაბლ „რესპუბლიკის“ დაღუპვა დიდი ბულლის გატეხამ გამოიწვია. ბულლის ნატეხს გაუხვრეტია გაზით სავსე ტილო, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ დირიჟაბლი ჰაერში ველარ გაჩერდა და საოცარის სისწრაფით მიწაზე დაეშვა. ტყუილია მითომ დირიჟაბლი აფეთქებულიყოს, ცეცხლის ნასახიც ვერა ვნახე. აგრეთვე ტყუილია ის, ვითომ დირიჟაბლი განგებ ვიღაცას დაეღუპოს.

**ტანჟერი.** გუშინ, 14 აგვისტოს, მაროკოს სულთანმა საქლჩოებს საპასუხო ნოტა გადასცა. ნოტაში სულთანი სწერს: დატუსაღებულ შემბოხეებს იმდენად შეუმსუბუქე სასჯელი, რამდენადაც ამის ნებას ჩემი სარწმუნოება მაძლევდა. იმედი მაქვს, რომ მშვიდობიანობის დამყარებისათანავე აღარ დამჭირდება სასტიკ [illegible].

**ბერლინი.** ნაშუადღევის 3 საათსა და 26 წუთზე ტემპელჰოფის მინდვრიდან ლატამი იოხანისტელისაკენ გაფრინდა. 3 საათსა და 50 წუთზე ლატამიუკვე იოხანისტელში მიფრინდა. ლატამი საშუალოდ 120 მეტრის სიმაღლეზე ავიდა და გაფრინდა 18 კილომეტრი.

**ბუდაპეშტი.** დამოუკიდებლების პარტიის კონფერენციაზე, სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა კოშუტმა. მან სთქვა: მეფეს განზრახვა აქვს მიმიღოს, როგორც უმრავლესობის მეთაური. რას მოვახსენებ მეფეს, საჭიროდ არ მიმაჩნია ეხლა განვაცხადო. ამას კი ვიტყვი, ჰუნგრეთის საკეთილდღეოდ საჭიროა ჩვენი პროგრამის შეცვლა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ პარტიის ძირითად პრინციპებს არ უნდა შევეხოთ.

## რ უ ს ე თ ი

**სერგაჩი.** სოფელ ნოვო დემოვში გადაიწვა 59 სახლი, სასწავლებელი და ეკლესია.

**პეტერბურგი.** გაზეთი „როსსია“ სწერს: ფინლიანდიის სასამართლოს უკანასკნელმა სხდომებმა დაგვანახვეს, რომ მართლები იყვნენ ისინი, ვინც ამტკიცებდნენ, ის პოლიტიკური საქმეები, რომლებშიაც რუსები ურევიან, რუსეთის სასამართლომ უნდა გაარჩიოს, თუნდაც ესა თუ ის პოლიტიკური საქმე ფინლიანდიაში მომხდარიყოს. ამის და მიხედვით სულ უნდა გაუქმდეს, ან უნდა შეიცვალოს ის კანონი, რომლითაც ესა თუ ის საქმე იქ ირჩევა, სადაც ბოროტ-მოქმედებაა ჩადენილი. ეჭვიც არ უნდა ვიქონიოთ, რომ საკანონმდებლო დაწესებულებანი ამიერიდგან მაინც გააუქმებენ ამ კანონს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** სოფელ ნატალიანში გადაიწვა 102 სახლი. ზარალი 41,600 მანეთს უდრის.

**ომსკი.** კოკჩეტოვსკის მაზრაში ინგლისელ ბერგელის საკონსერვო ქარხანა დაიწვა. ზარალი 700,000 მანეთს უდრის. ქარხანა დაზღვეული არ იყო.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ განიხილა გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ გამომცემლის სუვორინის საქმე. სუვორინს ბრალდებოდა ფინანსთა მინისტრის უნებართვოთ საზღვარ-გარეთის ლოტერეის ბილეთების გაყიდვის შესახებ განცხადების [illegible].

**ტერიოკი.** ს ღამის 10 საათზე გამოურკვეველის მიზეზით ცეცხლი გაუჩნდა ჩრდილოეთის სასტუმროს. ერთი საათის შემდეგ სასტუმრო სულ გადაიწვა. ამ სასტუმროში სცხოვრობდნენ გერცე შტეინის მკვლელები. სასტუმროს ოფიციანტი და პატრონი გერცენშტეინის მოკვლის საქმეში მოწმეებად არიან გაწვეულნი.

**ირკუტსკი.** სოფელ ზნამენსკაიაში 20 შეიარაღებული ბოროტ-განზრახველი თავს დაეცა ლოსევის სახლს ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს 60,000 მანეთი.

**კისლოვოდსკი.** დააპატიმრეს იმ ბრბოს მეთაური და ერთი წევრი, რომელმაც გაცარცვა სამინერალო წყლების გამგეობის ფულის ამკრეფი.

**რიგა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ორი ნაფიცი-ვექილის, ნაფიცი ვექილის ერთი თანაშემწის, ექიმის, ვაჭარის და ლატიშთა საზოგადო საკრებულოს ინტენდანტის საქმე. ამათ შემდეგს აბრალებდნენ: 1905 წელს, რევოლიუციის დროს, რევოლიუციონერებმა დააპატიმრეს პოლიციელები. დაპატიმრებულები რევოლიუციონერებმა თავიანთ სამართალში მისცეს. მოსამართლეებად ზემოდ დასახელებული პირები აირჩიეს, ამის გამო ესენი მთავრობამ სამართალში მისცა ყველანი გაამართლეს.

**ორენბურგი.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს როსტოვცევი.

**ირკუტსკი.** სამხედრო სამართალში მისცეს სამი მძარცველი. ეს უკანასკნელნი თავს დაეცნენ ადგილობრივ სემინარიის რექტორის, არქიმანდრიტ ევგენის სახლს. რექტორმა ბოროტ-განმზრახველებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგ სამთავენი გაიქცნენ. პოლიცია ბოროტ-განმზრახველებს დაედევნა და მალე სამთავენი დააპატიმრა. დაპატიმრებულებს აღმოაჩნდათ 4 რევოლვერი, ხანჯალი და ორი ყუმბარა.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ორი დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 74, გარდაიცვალა 24, ავად არის 376 კაცი.

**კიევი.** ავად გახდა 12, გარდაიცვალა 5 კაცი.

**არხანგელსკი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 5 კაცი.

**პოლოცკი.** 5—11 სექტემბრამდე, ავად გახდა 13, გარდაიცვალა 2 კაცი.

**რიგა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 8 კაცი.

**ტვერი.** ავად გახდა 38, გარდაიცვალა 16 კაცი; გუბერნიაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 9 კაცი.

**ასტრახანი.** 6—12 სექტემბრამდე ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3 კაცი.

**კოსტრომა.** ავად გახდა 32, გარდაიცვალა 20 კაცი.

**იაროსლავლი.** იაროსლავლში ავად გახდა 52, გარდაიცვალა 26 [illegible]; გუბერნიაში ავად გახდა [illegible], გარდაიცვალა 62 კაცი.

**მოსკოვი.** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3 კაცი.

**ნოვგოროდი.** ავად გახდა 54, გარდაიცვალა 14 კაცი.

**პოლტავა.** კრემენჩუგში ავად გახდა 17 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 14 სექტემბერს მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ პირველად მოისმინა მოწერილობა ქალაქის გამგეობისა, რომ 27 სექტემბერს წარმოდგენა ან ლექცია არ გაიმართოს, რადგან ამ დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში სომეხ ბავშთა დღესასწაული გაიმართებაო. გამგეობამ მიიღო ეს წინადადება. 1908 წლის მოქმედების ანგარიში გამგეობას ჯერაც არ შეუდგენია. გამგეობამ დაავალა თავმჯდომარეს, შეადგინოს ეს ანგარიში. ანგარიშის სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ბ-ნი ვ. ი. რცხილაძე, ექიმი პ. ჭიჭინაძე და ექ. ფეოდოროვი. გამგეობის დადგენილებით ლექციების კითხვა დაიწყება 20 სექტემბერს, თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ გადაეღობა.

✦ **შენიშვნის მიცემა.** „ბაქუ“-ს სიტყვით, ტფ. პოლიცმეისტერმა სასტიკი შენიშვნა მისცა ტფ მძღვარ პოლიციის უფროსს საკოგონს. მიზეზი—საქმის ცუდად დაყენება,—მოხელეების უმუყაითობა და პოლიციურ საიდუმლოების გამოქვეყნებაა. „ტ. ლ.“-ს სიტყვით კიდევ, მძებარ პოლიციის უფროსი დაუთხოვნიათ და იმის ადგილს დაუნიშნიათ პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაული გაგიევი, ხოლო მეშვიდე ნაწილში გადაუყვანიათ მეორე ნაწილის ბოქაული დავიდოვი.

✦ **შემწეობის მოსპობა.** ინჟინერ ილიზეგოვის დირექტორობის დროს 60-მდე ქართველი მსახურნი ტრამვაისა—კონდუქტორები და ვატ-

---

# მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

მეტად საინტერესოა საქართველოს თვითარსებობის უკანასკნელ დროის ამბები, როცა მოუძლურებული და არაქათ გამოლეული საქართველო რუსეთისაკენ გაიცქირებოდა და იქიდან მოელოდა შველას. საქართველო მაშინ ისე იყო დაძაბუნებული, ისე მედგრად მიექანებოდა მოლიპულს გზაზე, რომ ყოველივე ცდა მისი შენარჩუნებისა ამაო იყო. მეფის ძალა იმდენად მისუსტებულიყო და მიმქრალიყო, რომ სამშობლოს მოღალატეების ჯეროვნად დასჯაც კი აღარ შეეძლოთ. აი, როცა საქართველო ასეთის სისწრაფით მიექანებოდა დაღუპვის გზაზე, რომელსაც ერთი-ორად ხელი შეუწყო ერეკლეს მემკვიდრეობითმა წესრიგმა, გზა დაკარგულნი ბატონიშვილნი სცდილობდნენ კიდევ შეენარჩუნებინათ ბატონობა. მაგრამ ეს მათი ცდა უფრო მოგვაგონებს მომაკვდავის უკანასკნელ გაბრძოლება-ამოკვნესას, მათის წყალობით საქართველო უწესოების ასპარეზად გადაიქცა, რამაც უფრო მოუსწრაფა თვითარსებობის დღენი საქართველოს. ამბოხებითა, შფოთითა და ქიშპობით სავსეა ეს დრო. ბატონიშვილნი ერთს სწორე გზაზე ვერ დამდგარიყვნენ, შეერთებულის ძალით არ მოქმედებდნენ, პირიქით ერთმანეთს მტრობდნენ, ხელს უცარავდნენ და გზაზე ეღობებოდნენ. ამ საერთო არევამ, როცა ერთის თანამედროვის თქმით „ყველანი აირივნენ და გონება დაჰკარგეს“, შექმნა ის ატმოსფერო, ის პირობანი, რომელთაც საქართველოს დედოფალს მარიამს იარაღი ხელში აღებინა და თავისს დასაცველად გამოიყვანა. მაგრამ, რათა სისრულით გავითვალისწინოთ ის შავბნელი დრო, რომელმაც უმაგალითო საქმე ჩაადენინა დედოფალ მარიამს, საჭიროა მოთხრობა ცოტა შორიდან დავიწყოთ.

## 1.

### ერეკლე მეფის ანდერძი და მისი შედეგი.

რამდენადაც ღირს-შესანიშნავია ერეკლე მეორის მეფობის პირველი ხანა, რომელიც ბრწყინვალე ეპოპეიას წარმოადგენს ურიცხვ მტრებზე გამარჯვებისას და სამეფოს აყვავებისას, იმდენად შავბნელი და ბედკრული იყო ბოლო ხანა მისის მეფობისა. საბრალო მხცოვან გმირს, რომელიც ერთ დროს შიშის ზარსა სცემდა მთელ კავკასიას და რომლის სამხედრო ნიჭი და სახელი შორს ევროპაშიაც იყო გავარდნილი, ბედმა სიბერის დროს მწარე სასმელი ასვა. ის ბრწყინვალე სამშობლო, რომლის აყვავებასაც მთელი თავისი ხანგრძლივ მეფობის ძალ-ღონე შეალია, პირქუშმა აღა-მაჰმად-ხანმა მიწასთან გაასწორა, ყველაფერი ცეცხლსა და ნავთს მისცა და მისი მშვენიერი ტფილისი ნანგრევების ნხროვად აქცია. მაგრამ ბედმა და განგებამ არც ეს აკმარა ერეკლეს, განხეთქილებამ და უსიამოვნობამ თავი იჩინა თვით მის სახლშიაც. ცბიერ, მოხუცებულ დედოფალ დარეჯანს, რომელსაც თავდაპირველადვე ეჯავრებოდა თავისი გერი, პირმშო შვილი ერეკლესი წინანდელის ცოლისაგან, და რომელიც ათასგვარ ცოლის წამებას არ ერიდებოდა მის შესახებ, სურდა სრულიად მოეშორებინა იგი სამეფო ტახტის მემკვიდრეობისაგან; ამიტომ არ უსვენებდა მოხუცს ერეკლეს, რომ სიბერის უკანასკნელი დღენი მაინც სიამტკბილეში დაელია. ამ ცბიერმა დედაკაცმა ისეთს არა ჩვეულებრივსა და ქვეყნის დამღუპავს ანდერძზედ მოაწერინა ხელი ერეკლეს და დაამტკიცებინა, რომლის შეუსაბამობას და სამწუხარო შედეგს ქვემოდ დავინახავთ.

ამ უცნაურის მემკვიდრეობითის წეს-რიგით ბატონიშვილებს რიგ-რიგით უნდა ემეფნათ, ასე, რომ პირველად უნდა გამეფებულიყო პირმშო შვილი ერეკლესი გიორგი, რომლის შემდეგაც მეფობა უნდა მიეღო გიორგის პირმშო შვილს დავითს კი არა, არამედ უფროსს ძმას მეფისა იულონს, იულონის მერე შემდეგს ძმას—ვახტანგს, მირიანს, ალექსანდრეს და ბოლოს უმცროსს—ფარნაოზს როცა ამ რიგად ერეკლეს ყველა შვილები ჩამოირიგებდნენ მეფობას, მაშინ უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე გიორგის პირმშო შვილი დავითი, შემდეგ მისი ძმა იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ და სხვანი. როცა მეფობას გიორგის ყველა შვილები ჩამოირიგებდნენ, მათ შემდეგ მეფობა გადავიდოდა იულონის შვილებზე, ვახტანგისაზე, მირიანისა და სხვათა შვილებზე რიგ-რიგით[1]).

ასეთი უცნაური მემკვიდრეობითი წეს-რიგი მეფობის ჩამორიგებისა ზეგამოჭრილი იყო მაშინდელის დროისათვის და პირმშო შვილი იმ დროის ასეთ არეულობისა და შფოთისა. ლაპარაკი არ უნდა, ეს წეს-რიგი გაუთავებელს და დაუსრულებელს შფოთსა და უსიამოვნობას ასტეხდა. სამეფო სახლი, რომელიც უამისოდაც ორად იყო გაყოფილი, მას შემდეგ მოსისხლე მტერთა ბანაკად უნდა გადაქცეულიყო. ერთის მხრით იდგნენ ერეკლე მეფის შვილები (გიორგის გარდა), რომელთაც ხელმძღვანელობდა საქმეში გამოცდილი, გიორგის შურითა და ღვარძლით სავსე დედოფალი დარეჯანი, რომლის შვილებსაც ამ ანდერძის ძალით უნდა ჩამოერიგებინათ მეფობა; მეორეს მხრით გიორგი თავის შვილებით, რომელთაც ტრადიციით ნაკურთხ ჩვეულებით უნდა რგებოდათ მემკვიდრეობა ტახტისა, მუდმივი უსიამოვნობა ამ ახალის სამკვიდრო წესრიგით აუცილებელი იყო, მიზეზი მუდმივ შფოთისა და შუღლისა სამეფო სახლში ითესებოდა,

ავტორი ამ უმსგავსო ანდერძისა იყო ვინმე ყორღანაშვილი ოსეფა, ამილახორი დედოფალ დარეჯანისა. ყორღანაშვილი იყო გაიძვერა, ფარისეველი და შფოთისა და უსიამოვნობის ამტეხი სამეფო სახლში, რომლის შესახებაც მეფე გიორგი იტყოდა ხოლმე: „ყორღანაშვილი არის მყრალი პატრუქი, ბჟუტავს და აყროლებს.“ ეს მოუსვენარი და შფოთის ამტეხი ადამიანი იყო მახლობელი მრჩეველი დედოფლის დარეჯანისა და აბა რა ნაირს ანდერძს შეადგენდა ეს კაცი, თუ არა შფოთისა და არეულობის ამტეხს. ამ ანდერძის ძალით ყოველი ბატონიშვილი უნდა გამხდარიყო მეფედ ადრე თუ გვიან. ყველას ფრთებს ასხავდა ეს გარემოება და ტკბილი ოცნების ტალღებში აფრინებდა, აცა ან დღეს ან ხვალ მეც მეფედ გავხდები და შევსვამ სიტკბოებას მეფობისასაო. ისედაც დაცემულსა და დაუძლურებულს საქართველოს, სადაც მეფის მნიშვნელობა ძალზედ მიმტნარებული იყო, სწორედ ეს საუკუნოდ დამღუპველი და გამათახსირებელი სამემკვიდრო წესი ლა ეჭირვებოდა!

ეს კიდევ არაფერი, ერეკლე რომ ამაზე გაჩერებულიყო; მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ჩაიდინა რა ერთი შეცდომა, ერეკლემ მეორეც ზედ დაურთო, რითაც უფრო აირ დაირია საქმე და განსაცდელში ჩააგდო სამემკვიდრო საკითხი. შემომწყრალს გიორგის ერეკლემ შემდეგი წერილი მისწერა, რომლის ძალითაც სრულიად ირღვოდა და ძალა ეკარგებოდა იმის ანდერძს: „იმ ანდერძის საქმე, რომელიც მე დაუტოვე შენს ძმებს, ისე მოხდა, რომ მაიძულეს შემემოწმებინა. ჩემს ნებადაურთველად იყო ის დაწერილი, ასე, რომ ანდერძის წერილს ძალა არა აქვს და უმნიშვნელოა. ერწმუნე ღმერთსა და მერე მე, გეფიცები განსვენებულის მამიჩემის თეიმურაზის სულს, რომ იმ ანდერძის თანახმა არა ვარ. როცა ეს ომიანობის დრო გაივლის და ქვეყანა დამშვიდდება, როგორც სამართალი და კანონიერება მოითხოვს, ისე მოვიქცევი. გეფიცები ღმერთს, ვერავითარი ძალა ვერ დამარღვევინებს და ხელს ვერ ამაღებინებს შენს კანონიერ უფლებაზე და ძველს ანდერძის წერილს შენის ძმებისათვის მიცემულს გავაბათილებ.

„მერწმუნე,—იმეორებს ხელახლა თავის წერილში მეფე ერეკლე,—არაფრის გულისათვის არ დავარღვევ არც შენს უფლებას და არ შენის ძმებისას და ვინც უმართებულოდ მოიქცევა, იმას თანხმობას არ გავუწევ“.[2])

აშკარაა, ამ წერილით ერეკლე სრულიად აბათილებდა პირველ თავის ანდერძს, მაგრამ საჭირო იყო საქვეყნოდ მისი გაბათილება, რომ შემდეგში არავისა ჰქონოდა უფლება მისით სარგებლობისა. საუბედუროდ, ეს ვერ მოხდა, ერეკლეს სიკვდილმა უსწრო, ან შეიძლება არც კი უნდოდა მისი გაბათილება დედოფალ დარეჯანის პატივისცემით და მხოლოდ ტკბილი სიტყვები მისწერა გიორგის დასამშვიდებლად. ვინ იცის. ეს კი აშკარაა, ანდერძი არ გაბათილდა და ამით იარაღი მისცა დანარჩენ თავის შვილებს უფლება ჰქონოდათ ეძიებნათ სამეფო ტახტი და რიგრიგით ემეფნათ. ისედაც დაცემული ძალა და მნიშვნელობა მეფისა ამიერიდან უფრო უნდა მისუსტებულიყო, სამეფო ტახტი რაღაც სათამაშო მანქანად ხდებოდა, რომელზედაც ყოველი ბატონიშვილი უნდა შესკუპებულიყო, ბრალიანი იქნებოდა თუ უბრალო. საქართველოს რაც თავისი თავი ახსოვდა, ასეთი მაგალითი არა ყოფილა. უძველეს დროიდანვე საქართველოში მიღებული იყო ჩვეულება, რომლის ძალითაც მეფობა გადადიოდა უფროსს ვაჟიშვილზე, თუმცა არათავითარი კანონმდებლობა ამის შესახებ არ არსებობდა. თვით სპარსელნიც საქართველოს მფლობელობის დროს პატივსა სცემდნენ ხოლმე ამ წესრიგს და თუ რამ საპატიო მიზეზი არა, არ გადუხვევდნენ ხოლმე მას. მაგრამ დედოფალი დარეჯანი ჩვეულებასა და კანონიერებას არაფრად აგდებდა, ოღონდ გიორგისადმი ღვარძლით სავსე გული როგორმე მოეფონებინა, როგორმე მემკვიდრეობა ხელიდან გამოეცალა და სამეფო ტახტზე თავისი შვილები წამოესკუპებინა. მოხუცსა და უძლურს მეფეს ვერ წარმოედგინა, რა განსაცდელში აგდებდა საქართველოს, რა შფოთი და დავიდარაბა უნდა ატეხილიყო ამ უგვანო ანდერძის გამო. მაგრამ რასაც მომაკვდავი მეფე ვერ ამჩნევდა, ამას კარგად ჰხედავდა დედოფალი დარეჯანი, რომელმაც თუ სრულიად არა, ნახევრად მაინც აისრულა გულის წადილი. თუ გიორ-

1) იხ. „გიორგიევ“, მღ. იოსელიანისა.

*) იხ. „Акты Кавказской археографической комиссіи“, გვ. 297, სადაც ეს წერილი რუსულად არის მოქცეული ხზოლიოებში.

მანები—გადაასახლეს რუსეთის შორეულ ადგილებში. უსახელო საზოგადოებიდან დასჯილთა სახლობებს ეძლევათ მცირეოდენი ყოველთვიური დახმარება. როგორც გადმოგვცეს, დასჯილთა სახლობებს ამ სექტემბრიდან ესპობათ შემწეობა. თუ ეს გამართლდა, ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდებიან უპატრონოები.

✦ **პანაშვიდი.** გუშინ 15 სექტემბერს, ტფ. ქართულ გიმნაზიაში გადაიხადეს პანაშვიდი ამავე გიმნაზიის ყოფილ მასწავლებლის ვლადიმერ ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო გიმნაზიის ყველა მოწაფე და მასწავლებელი.

✦ **ექსკურსანტების საყურადღებოდ.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ექსკურსია ნ. ლ. ალიმბარაშვილისა მიდის პეტერბურგს 23 სექტემბერს მატარებელი № 4. ვისაც ბარგი აქვს („ბაგაჟი"), უნდა მიიტანოს სადგურზე 23-ს ნაშუადღევის პირველ საათზე. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება 4—7 საათამდის, ავჭალის ქუჩა, № 143".

✦ **ფული პოლიციის შესაიარაღებლად.** როგორც ვიცით, პოლიცმეისტრის შუამდგომლობის თანახმად გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. ქალაქის გამგეობას, გადაიხადოს ქალაქმა 42,000 მან. პოლიციისათვის ახალ იარაღის შესაძენად. საბჭომ მაშინ ადმინისტრაციას კანონზე მიუთითა და შეუთვალა, ჩვენ ვალდებულნი არა ვართ მაგ სისტემის იარაღი შევიძინოთ პოლიციისთვისაო. პოლიცმეისტერის თხოვნით გუბერნატორმა ხელმეორედ მიმართა ქალაქის გამგეობას და წინადადება მისცა, წარუდგინოს მოხსენება საბჭოს, რომ პოლიციისთვის იარაღის შესაძენად გადადოს—19,289 მან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წარუდგინოს საბჭოს მოხსენება.

✦ **უპასპორტოები.** 14 სექტემბერს პოლიციის მესამე ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 16 უპასპორტო კაცი, 1 ნაწილში—4 მეცხრეში—21.

✦ **კავკასიონის მთაზე რკინის გზა.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „უკვე დაამთავრა მუშაობა იმ კომისიამ, რომელიც კავკასიონის მთაგრეხილის რკინის გზის საკითხს იკვლევდა. კომისიის აზრით, ამ გზის გაყვანას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. ამ რკინის გზის გაყვანას ამურის რკინის გზის დამთავრებისთანავე შეუდგებიან".

✦ **მინისტრის ჩამოსვლა.** ამ თვის 20 რიცხვებში ტფილისში მოელიან გზათა მინისტრს რუხლოვს. მინისტრის მოსვლას კავშირი აქვს თურმე ჭიათურისა და ბაკურიანის ვიწრო-ლიანდაგიან შტოების განიერლიანდაგიანად გადაკეთებასთან (ტ. ლ.).

✦ **კახეთის რკინის გზა.** ორი პარტია, რომელიც გაგზავნილი იყო კახეთისკენ რკინის გზის საქმის გამოკვლევების მოსახდენად, უკვე დაბრუნდა ტფილისში. ეხლა ეს პარტიები მასალის შემუშავებას შეუდგებიან.

✦ **საკომერციო ნაწილის უფროსი.** რკინის გზის საკომერციო ნაწილის უფროსად დაინიშნა მ. ნაჩალოვი, რომელიც 15 წლის წინად ამ გზაზევე მსახურებდა.

✦ **ცნობების შეკრება სკოლების შესახებ.** ამ რამდენიმე ხნის წინად გუბერნატორმა დაავალა ტფ. ქალაქის გამგეობას, პოლიცმეისტერსა და ტფ. გუბერნიის მაზრის უფროსებს, კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნის თანახმად, სკოლების შესახებ ცნობების შეკრება. სახელმწიფო სათათბირომ, როგორც თავის დროზე გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, გამოსთქვა აზრი რუსეთში საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღების შესახებ. ამის გამო განათლების სამინისტრო შესდგომია საზოგადო გეგმის შემუშავებას. ცნობების მოკრებაც ამისთვის არის საჭირო. ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს სასწავლებელთა კომისიას, შეუდგეს ცნობების შედგენას ტფილისში, გამოარკვიოს რაოდენობა სკოლაში გასაგზავნ ბავშვთა, რიცხვი არსებულ სასწავლებლებისა და აგრეთვე გამოსთქვას აზრი როგორი ტიპისა და რამდენი სასწავლებელია საჭირო და სხვა.

✦ **გადაყენება.** რევიზიის შემდეგ თანამდებობიდან გადაუყენებიათ სამაზრო სამხედრო ბეგრის საკრებულოების საქმის მწარმოებელნი: ტფილისისა—დოდაშვილი, თელავისა—თავ. ანდრონიკაშვილი და სიღნაღისა—როსტომოვი.

✦ **მესამე სექციის სხდომა.** დღეს, 16 სექტემბერს საღამოსთვის ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სხდომა ეოობის შესახებ მესამე სექციისა.

✦ **ახალი პიესა სუნდუკიანცისა.** მხცოვან დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანცს ახალი კომედია დაუწერია „სიყვარული და თავისუფლება".

✦ **კათალიკოსის მირონის ცხება.** ეჩმიაძინში, როგორც „ტიფ. ლ."-ს დეპეშით ატყობინებენ, დიდის ამბით მომხდარა მირონის ცხების ცერემონია. დასწრებია 15,000 კაცამდე. დედამიწის სხვა და სხვა კუთხიდან სომხობის დიდ-ძალი დელეგატები შეკრებილან. ეხლა მოხდება თურმე კრებები ამ დელეგატებისა საეკლესიო, სწავლა-განათლების და სხვა საქმეების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად. გაზეთის სიტყვით, უმთავრესი აზრი დელეგატების შეკრებისა ესა ყოფილა.

✦ **დაპატიმრება.** 12-14 სექტემბერს პოლიციამ ტფილისის სხვა და სხვა უბანში დააპატიმრა საგენერ.-გუბერნატოროდან გადასახლებულნი, მაგრამ თვიანთ ნებით უკან დაბრუნებულნი: რუბენ ავალოვი, არსენ ლებანიძე, გიორგი თედიაშვილი და გიორგი პარემუზოვი. დაპატიმრებულნი პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი.

✦ **ტრამვაის მიერ გაჭყლეტილი.** 14 სექტემბერს, საღამოს რვა საათზე, ელისაბედის ქუჩით მიმავალ ტრამვაის ერთ ვაგონიდან ჩამომხტარა 19 წლის არაქელა ელგატოვი. უცბად მეორე ვაგონს მოუსწვრია ელგატოვისთვის და იქვე გაუსრესია. გვამი მოკლულისა მიხეილის სავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ გუბერნატორის კანცელარიამ აცნობა გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ გუბერნატორი წინააღმდეგი არ არის სისრულეში მოიყვანოთ საბჭოს დადგენილება ქალაქის თავად ნამყოფის მატინოვის ტფილისში მოსვენებისა და ქალაქის ხარჯით დაკრძალვის შესახებ.

✦ 13 სექტემბერს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს ვასილ როგანოვი და პავლე ლობაროვი, რომელთაც დაჰბრალდათ ავჭალის ქუჩაზე რკინის გზის მოხელის კუპცოვზე თავდასხმა და ფულის წართმევა.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილის მოხელეებს შეუტყვიათ 14 სექტემბერს, რომ ვიღაც უცნობს ტფილისში მოპარული 4 ხარი მოერეკა და ყასბებისთვის მიეყიდნა. უცნობი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა სიღნაღის მაზრის მცხოვრები ზაქარია შავლიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ხარები წავართვი თათრის სოფელ ალაღოს მცხოვრებთო. ხარები 110 მან. მიეყიდნა ღალო ფიცხელაურისა და ალექსანდრე კაპიაშვილისათვის, რომელთაც ერთი ხარი უკვე დაეკლათ. შავლიაშვილი დააპატიმრეს.

## მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** სულადის მოსავალი ჩაიგდეს ქიზიყელებმა. მშვენიერი გამოსავალი ჰქონდა წელს ხორბლეულობას—პურს, ქერს და სიმინდს. სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ამ უხვ მოსავლის მქონე ქიზიყელნი ისევ ჯიბე ცარიელნი რჩებიან ათას გვარ ჩარჩის წყალობით, რომელნიც ჩალის ფასად ინარჩუნებენ გლეხ-კაცის ნაამაგარს. მაგრამ რას იზამთ, ხალხს ფული უჭირს, სულადის გასაღების საქმე კი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. აქაურ არავითარი ისეთი ამხანაგობა არ არის დაარსებული, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ნაშრომ-ნაოფლარი ჩალის ფასად არ ჩაუგდოს ჩარჩებს, რომელნიც დღისით—მზისით ჰფცქვნიან უვიც-უცოდინარ ხალხს...

თამბაქოს მოსავლის საქმეც ასე საძაღლ-დორეთ არის გამხდარი. წელს მშვენიერისა და ჩინებულის ღირსების თამბაქო გამოვიდა ჩვენსკენ, მაგრამ აბა თუ ტფილისელი თამბაქოს მოვაჭრე მოვიდა ვინმე და შესაფერი ფასი შეაძლია მეთამბაქეებს! აქაური წვრილფეხა მოვაჭრენი ისე აჩერჩებენ, რომ დიდ მოვაჭრეებს არ უშვებენ აქამდის: „თქვენ ქიზიყში რა გინდათ, თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ ტფილისში და რა ფასებშიაც გენებოთ, იმ ფასეში ჩამოგიტანთ თამბაქოსაო". მართლაც, თუ კი ადგილობრივ მოქიშპე არ ეყოლებათ, თითონ იციან, რა ფასებშიაც ჩაიგდებენ ხელში კვერცხის გულივით ყვითელ თამბაქოს. ნეტავი ერთ დროულად მაინც ყიდულობდნენ თამბაქოს,—ერთ თვეში ერთი ბინის თამბაქოს ყიდულობენ, მეორე თვეში—მეორისას და ამგვარად მეთამბაქოეს ხომ გული გაუწყალდება, რა ფასსაც შეაძლევენ, იმ ფასში მისცემს. გადასახადის გადების დროც რომ არ იყოს ეხლა, მეთამბაქოემ ეხლა უნდა დაურიგოს მოჯამაგირეებს ფული, რომ თამბაქოს დამატებად დაწყობას შეუდგეს, თამბაქოს დაწყობა კი უფულოდ ყოვლად შეუძლებელია, რადგან ბევრი ხარჯი სჭირია.

ჩვენსკენ ვენახების კრეფას შეუდგნენ. ჯერ წვრილი ვენახები დაიკრიფა —იმ კვირია მსხვილ ზვრების კრეფასაც შეუდგებიან. როგორც წინადაც ვწერდი, წელს ღვინის მოსავალი ნაკლები იქნება, მაგრამ ჩარჩების წყალობით ღვინოსაც დაეკარგა. მაზანდა, რაიცა ამ ერთ თვეში გამოჩნდება...

11 სექტემბერს სიღნაღში მეორე საბლაღოჩინოს სამღვდელოთა კრება მოხდა, რომელზედაც სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევ კანდიდატად ერთხმად დასახელებულ იქმნა დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიის დეკანოზი ნ. თალაკვაძე..

X.

—

**თელავი.** თელავის მომავალ პროგიმნაზიაზე ბევრი დაიწერა და, როგორცა ვხედავ, კიდევ ბევრი დაიწერება, ისე იცვლება საქმის მდგომარეობა. აგვისტოს მეორე ნახევარში თითქმის ყოველ-დღე იმართებოდა კრებები და სხდომები საქმის გამოსარკვევად.

როგორც მკითხველს ეხსომება, გიმნაზიის დასაარსებლად შემდგარია კომიტეტი, რომელშიაც შედიან როგორც თავად-აზნაურთა, ისე ქალაქის, მოხელეობის და ინტელიგენციის წარმომადგენელნი. აგვისტოში ქალაქის მოურავის მოადგილეს, ტფილისში ყოფნის დროს, ენახა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი გიმნაზიის გახსნაზე ნებართვის მიღების შესახებ; მზრუნველს ეჩვია საჭირო ქაღალდების შედგენა ქალაქის მხრით, რაც ქალაქის რწმუნებულთ საგანგებო სხდომაზე შეასრულეს და დაადგინეს, ქალაქს ეთავა პროგიმნაზიის გახსნაზე.

ამნაირად, [illegible] მიტეტი [illegible] ძრა საკითხი [illegible] ერთად მოქმედების შესახებ. ქალაქის მამების უმრავლესობამ კომიტეტი მონათლა თავად-აზნაურობად და ერიდებოდა მასთან საქმის დაჭერას, რასაც ასაბუთებდა მხოლოდ იმით, რომ ვაი თუ საჭირო ფული არ გამოიღოსო. გაიმართა ქალაქის რწმუნებულთა კრებები, მოხდა კომიტეტის წევრთა რამდენიმე კრებაც, რაზედაც ხმოსნები მიიწვიეს. ცხარე კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ ქალაქის განცალკევება მავნებელი იქნება საქმისთვის და ცალ-ცალკე მოქმედება დააბრკოლებს საქმის სასურველად დაბოლოვებას. შემდეგ მოხდა ქალაქის რწმუნებულთა კრება და დაადგინეს, ქალაქმა თავ.-აზნაურობასთან ერთად გახსნას თელავში პროგიმნაზია.

ამნაირად, დაბოლოვდა მოლაპარაკება პროგიმნაზიის გახსნის შესახებ და კომიტეტის დადგენილების თანახმად დეპუტაცია გაემგზავრა ტფილისს 6 სექტემბერს საშუამდგომლოდ.

ერთი წელიწადია, რაც დაიწყეს პროგიმნაზიის გახსნის საქმე. ყველანი დაიმედებულნი იყვნენ, რომ ენკენისთვიდან სასწავლებელი გაიხსნებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა განცხადებებით ეუწყათ მცხოვრებთ მისი გახსნის განზრახვა და თხოვნების მიღება მოსწავლეთა კომპლექტის აღსანიშნავად. სულ ორი კვირის განმავლობაში 120 თხოვნა შევიდა. როგორც კომიტეტის წევრები, ისე ქალაქის ხმოსნები და მშობლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ნებართვას მიიღებენ, რადგან მთავრობას არც ეხლა და არც საკაისოდ, არავითარ დახმარებას არა სთხოვენ. ამიტომ ყველანი ამ პროგიმნაზიის სინაზარას დარჩნენ და ელოდებიან ნებართვის მიღებას.

პროგიმნაზიის ნებართვის მიღება ძალიან საინტერესოა არა მარტო თელავის მცხოვრებთ, არამედ მთელ კახეთისას, რადგან მთელი სამი მაზრა თელავისა, სიღნაღისა და თიანეთისა სრულებით მოკლებულია პროგიმნაზიასაც-კი.

დავიწყებული.

---

გი ვერ მოაშორა სამეფო ტახტს, იმის შვილებს ხომ თითქმის სამუდამოდ დაუხშო კარი. მას მხოლოდ კერძო ინტერესი ამოძრავებდა და ამას ანაცვალებდა ყველაფერს. იმას არ უნდოდა შეეგნო და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შფოთი და ცილობა სამეფო სახლში, რაიც ასეთს უგვანო ანდერძს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა.

11 იანვარს 1798 წელს მიიცვალა თელავში მეფე ერეკლე და იქვე ჯერეთ გაუცივებელ ცხედრის წინ შეუდგათ ერთი ალიაქოთი სამეფო ტახტის დაჭერაზედ. თუმცა ერეკლესაგან დიდი ხანია დამტკიცებული იყო მემკვიდრედ გიორგი და ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ დედოფალი დარეჯანი თავისას არ იშლიდა და უნდოდა, თუ შვილებს არა, თითონ მაინც როგორმე ჩაეგდო ხელში მეფობა. მაშ დედოფალი დარეჯანი რიღას დედოფალი იყო, თუ ისიც არ იგემებდა მეფობის სიტკბოებას; თუ კი იმის შვილებს ყველას უნდა ჩამოერიგებინათ მეფობა, თითონ რაღათ უნდა გამოეწირნა თავისი თავი, თუ ანდერძის დროს დაივიწყა თავისი თავი, იქნება მეფის შიშითა და რიდით, ეხლა-კი ვიღა ჰყავდა დამშლელი!

მაგრამ არც გიორგის ეძინა. ერეკლეს გარდაცვალების დროს იგი ბორჩალოში იყო, სადაც გაეგზავნა დედოფალს დარეჯანს, რომ მოეშორებინა თავიდან ერეკლეს უკანასკნელს დღეებში. გიორგის თან ახლდნენ წარჩინებული თავადიშვილები, რომელთა შორისაც ერივნენ დარეჯან დედოფლის მომხრენიც. ბორჩალოში გამომწყვდეული გიორგი ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს, რაცა ხდებოდა მომაკვდავ მეფის გარშემო თელავში და გაიგო თუ არა მეფე ერეკლე აღსრულდაო, დაიბარა ბორჩალოს აღალარები, შეკრიბა თავისს თანხლებულთ და უბრძანა, ფიცი მიეღოთ, რადგან მეფე ერეკლე აღსრულდაო და მემკვიდრე კიდევ მე ვარო. ასე სახტად გამომწყვდეულ თავად-აზნაურთ, რომელთაგანაც მრავალნი იყვნენ დარეჯანის ყურმოჭრილი მონანი, რაღა დარჩენოდათ, რომ თანხმობა არ გამოეცხადებინათ. ამ რიგად, ბორჩალოში მეფედ აღიარებული გიორგი, ქართლში გადავიდა და გორში მიიღებინა ფიცი ქართლის თავად-აზნაურობასა და ხალხს.

ამ დროს დედოფალ დარეჯანთან შეყრილიყვნენ ყველა მისი შვილები და ბჭობდნენ, როგორ მოეგვარებინათ საქმე, როგორ გამოეცალნათ ხელიდან გიორგისათვის სამეფო ტახტი. მაგრამ სხვა დროს ზარმაცი და მოუხერხებელი გიორგი მათზე ფხიზელი გამოდგა. დარეჯანმა რა გაიგო ბორჩალოს და ქართლის ამბები, დიდად აღშფოთდა, მაგრამ საქმე ხელიდან წასული იყო. მიუხედავად ამისა, დედოფალი მაინც თავისას არ იშლიდა და უნდოდა, დედოფლად ისევ ის დარჩენილიყო და ეკლესიებშიაც პირველად ის მოეხსენებინათ, ხოლო გიორგი მეფის მეუღლე ცნობილი ყოფილიყო მეფის რძლად. დარეჯანმა აქაც წააგო საქმე და პირში ჩალა-გამოვლებული დარჩა. [3]) ამ რიგად, გიორგიმ სწრაფისა და მარჯვე მოქმედებით ცარიელზე დასვა დედოფალი დარეჯანი. ეს უკანასკნელი ეხლა იმას-ღა სცდილობდა, ტკბილის სიტყვით რამეს გამორჩენოდა გიორგის და შემდეგისთვის მაინც გზა გაეკვლია. ცბიერმა დედოფალმა დაიყოლია მშვიდი და კეთილი გულის პატრონი გიორგი, რომ ის საუფლისწულო მამულები, რომელნიც ადათის ძალით ახალს დედოფალზე უნდა გადასულიყვნენ, მის განკარგულებაში დარჩენილიყვნენ. აგრეთვე თანახმა გახადა და შეამოწმებინა ერეკლე მეფის ანდერძი, რომლითაც ძმებს გიორგისას უნდა ჩამოერიგებინათ მეფობა.

საკვირველია ამ თანხმობის ისტორია. ამას თაობაზე ბატონიშვილი იულონი და დედოფალი დარეჯანი არა ერთგზით იხსენიებენ იმპერატორ პავლესადმი მიწერილ თხოვნებში ამ თანხმობის შესახებ და ამბობენ, რომ გიორგიმ ვითომ ორჯელ შეამოწმა და დაამტკიცაო. [4]) კნორინგი ეჭვის თვალით უცქერის ამ ამბავს და ასე მოიხსენებს თავისს უქვეშევრდომილესს წერილში: „გიორგიმ ვითომ შეუმოწმა ძმებს ირაკლის ანდერძიო". გარდა ამისა, იულონი და დარეჯანი, როგორც გიორგისთან, ისე სხვებთან მიწერ-მოწერაში არსად არ იხსენიებენ ამ გარემოებას, ამიტომ საეჭვოა, რომ ეს ამბავი მართალი იყოს და არა განგებ მოჭორილი, რომ ამითი მაინც ღელო გაეტანათ. ისიც შესაძლებელია, რომ გიორგი, რომელსაც პირველს ხანებში სამეფო ტახტზე გამაგრება ეჭირვებოდა, დასთანხმდა დედოფალს, მაგრამ შემდეგ, რა ძალ-ღონეს მოიკრეფდა, ერთზედაც და მეორეზედაც უარი ეთქვა და როგორც უჯობდა, ისე მოქცეულიყო.

გამეფდა გიორგი, თუმცა იმის სამეფო უფლებას ბევრი რამ ჩამოათალეს. დედოფალი პირველში თითქმის შეურიგდა თავისს მდგომარეობას, გამოუგზავნა გიორგის სამემკვიდრეო ძვირფასი ნივთეულობა და ხატები და თითონაც გადმოსახლდა ტფილისში, სადაც ავლაბარში საკუთარი სახლი ჰქონდა. მაგრამ ყველა ჰგრძნობდა, რომ ეს შერიგება და სიჩუმე ცბიერ დედოფლისა გულწრფელი არ იყო, მან დროებით ჩაიკლა გულში თავისი განძრახვანი და როცა დრო და გარემოება ხელს შეუწყობდა, ძვირად დაუსვამდა გიორგის ამ გამარჯვებას. შეურაცხყოფილი, რომ სამეფოს მართვა-გამგეობაში არაფერი წილი დაუდევს და არც არაფერში ეკითხებოდა მას გიორგი, მან თავდაპირველადვე მალულად დაიწყო შურის-ძიება და მტრობა.

ბატონი-შვილნი პირში ჩალა-გამოვლებულნი და შურით აღვსილნი გაიფანტნენ თავ-თავიანთ საუფლისწულო მამულებში და უკმაყოფილების თესლი მოსდეს ყველგან. მეფე ერეკლემ სიცოცხლეშივე საუკუნოდ უწყალობა მამულები და ყმები ყველა შვილს, გარდა ალექსანდრესი და ფარნაოზისა, რომელთაც დედოფალ დარეჯანის სიკვდილის შემდეგ უნდა რგებოდათ მისი მამული. უფროსი ძმა იულონი წავიდა ქართლში და ყველგან ავრცელებდა, რომ ტახტის მემკვიდრე ის არის; ვახტანგი არაგვის ხეობაში, რომელიც მთიულეთ-გუდამაყრიანათ მას ჰქონდა ნაჩუქები ერეკლესაგან; მირიანი მარტყოფსა და მის მიდამოებში: ფარნაოზი სურამსა და საზოგადოდ ზემო-ქართლში. ყველა ესენი არაფერში არ ეკითხებოდნენ მეფეს, ეურჩებოდნენ მას და სრულიად დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიანთ ყმა-მამულსა. ყველაზე ძალიან ურჩობდა იულონი, არ აძლევდა მეფეს არც ერთ ჯარისკაცს, არც ერთს ფარას თავისს ხაზინიდან და არც სხვა რამ გადასახადს. ფაქტიურად გამოდიოდა, რომ ისედაც ერთი ბეწო საქართველო რამდენსამე წვრილ სამთავროდ ჰქონდათ ბატონიშვილებს დატაცებული, რომელნიც არც თუ ემორჩილებოდნენ მეფეს, პირიქით შურით აღვსილნი განგებ დაეძებდნენ უკმაყოფილობის მიზეზს, რომ ხალხი აეღელვებინათ და მეფისათვის უსიამოვნება მიეყენებინათ. ჩქარა ეს უსიამოვნობა პირდაპირ მტრობად გადაიქცა. ბატონიშვილნი, რომელთაც მხარი უნდა დაეჭირნათ მეფისათვის და საერთო თანხმობით ეზრუნათ სამეფოს მშვიდობიანობისა და წესიერების დასამყარებლად, მტრად გადაიქცნენ მეფისა და საქართველოსი და მთელის ძალღონით სცდილობდნენ, ძირი გამოეთხარათ მისთვის. ბატონიშვილმა ალექსანდრემ, რომელიც ყველა ძმებზე მოუსვენრად ითვლებოდა და ჯერ მხცოვანი მეფე ერეკლეც არა ერთხელ გაებოროტებინა თავისს საქციელით, ეხლა სულ თავი აიშვა. უკმაყოფილო იმითი, რომ ყმა და მამული არა ჰქონდა ჯერ-ჯერობით, არ უსვენებდა გიორგის. გიორგი სცდილობდა, რამე ნაირად შეჰრიგებოდა ძმას. ერთს თავისს წერილში უყმოსა და უმამულო ალექსანდრეს ასე სწერს გულგატეხილი გიორგი: „უკე თუ განუყოფ მე სამეფოსა ძმათა ჩემთა, დაეცემა მეფობა. ვის უქნია ეს, და არ უნანნია? ნუ იქნები მტერი ოჯახისა და საქრისტიანოსი"[5]). მაგრამ როცა ვერაფერი გააწყო მოუსვენარს ალექსანდრესთან, მიუჩინა მისარიგებლად დედინაცვალი დარეჯანი. დედოფალმაც ვერ დაიყოლია ალექსანდრე, მეფემ ეჭვი შეიტანა თვით დედოფალზე და დევნა დაუწყო.

უკმაყოფილო ალექსანდრე გაიქცა ბორჩალოში, გიორგიმ დასაბრუნებლად დაადევნა თავისი შვილი იოანე, მაგრამ ალექსანდრემ უკვე ახალციხეში ამოჰყო თავი, საიდანაც იმერეთში გავიდა.

გიორგის დიდი ხანია ეჭვი ჰქონდა, რომ დედოფალი დარეჯანი, სცხოვრობდა რა ტფილისში, მის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა, მხურვალე მიწერ-მოწერა ჰქონდა საქართველოში გაბნეულ ბატონიშვილებთან და მტრადა ჰკიდებდა უძისოდაც ასისინებულს ძმებსა. ალექსანდრე ბატონიშვილის გაქცევის შემდეგ, რომელშიაც მთელი ბრალი დარეჯანს დასდეს მეფემ, ხომ ფარდა აეხადა ამ ეჭვებს. გიორგი დარწმუნდა, რომ ბატონიშვილნი დედოფლის განძრახვით მოქმედებენო. ამის გამო განრისხებულმა მეფემ დარეჯანისადმი ჩვეულებრივ პატივისცემას თავი გაანება და ის მამულები და ყმები, რაც გიორგიმ დროებით დაუტოვა ტახტზე ასვლის დროს, წაართვა და როგორც კანონიერება და ადათი მოითხოვდა, თავისს მეუღლეს მარიამს გადასცა. აი როგორ სწერს შემდეგში, როცა რუსეთმა ფაქტიური პროტექტორატობა დაუწყო საქართველოსა და ჯარი გამოგზავნა, იმპერატორს დედოფალი დარეჯანი: „წამართვა საკუთარი ჩემი სამფლობელო, ყმები და შემოსავალი სამლებროებიდან, რითაც ვირჩენდი თავს ქვრივობის დროს, ეხლა ამდენი ხანია სრულიად უმწეოდა ვარ და სიღარიბეში ვლაფავ სულს. უმთავრესი ნაწილი ჩემის ქონებისა საკუთარის ფულითა მქონდა შეძენილი და ჩემს კერძო საკუთრებას შეადგენდა. ასე უწყალოდ გვავიწროებს და გვდევნის ჩემი გერი მეფე გიორგი"[6]).

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

[3]) დუბროვინი მოიხსენიებს, რომ როცა ირაკლის მდივანი თუმანიშვილი გამოვიდა და ხალხს მიჰმართა, რომ დედოფლად ისევ დარეჯანი იყოს და ყოველივე უფლება შერჩეს მასაო", დიდხანს არავინ პასუხს ამაზედ არ იძლეოდა; ბოლოს სარჩამნის ეპისკოპოსმა კითხვით მიჰმართა ხალხსა: მითხარით, რას უწოდებენ გზირის მეუღლეს?—გზირის ცოლსაო, ერთხმად უპასუხა ხალხმა.— ამის შემდეგ როგორ-ღა გახდა, რომ მეფის მეუღლე დედოფლად არ ითვლებოდესო. მეფის მდივანი კუდამოძუებული მოშორდა ხალხსა. (იხ. Дубровинъ. „Георгій XII".)

[4]) „Акты Кавказской археограф. ком.", т. I.

[5]) იხ. „ცხოვრება მეფე გიორგისა", პლ. იოსელიანისა.

[6]) იხ. „Акты Кавказской археогр. ком.", т. I. დედოფალი დარეჯანი სწერს, გიორგიმ თუმცა მამულები წამართვაო, რაც კანონით ჩემს მეუღლეს ეკუთვნოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საკმარისი ყოველდღიური ულუფა მიუჩინა, რომლის რაოდენობაც ნაჩვენებია აქტებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარსეთი

**რუსის აფიცრები სპარსეთში.**

როგორც ვიცით, პოლკოვნიკ ლიახოვს გარდა, სხვა რუსის აფიცრები თეირანში დარჩნენ სპარსელ ყაზახთა ბრიგადის ინსტრუქტორებად.

„ნ. რუს“-ის თეირანელი კორესპონდენტი ასწერს, თუ როგორა სწრთვნიან რუსის აფიცრები სპარსელ ყაზახებს და როგორ უყურებენ მათ სპარსელები.

„დიდ სამხედრო მოედანზე რუსის აფიცრები სამხედრო საქმეს ასწავლიან სპარსელებს... უკრავს სამხედრო მუსიკა, არახუნებს დალაბანდი.

უბედური ჯარის-კაცები რა გულმოდგინედ აბიჯებენ, ოფლი სულ წურწურით ჩამოსდით!.. ხალხი უყურებს და ოხუნჯობს... რუსის აფიცრები ყოველ დღე გამოდიან მოედანზე და ჯარის-კაცების სიარულს ათვალიერებენ. აი თითქმის ესაა მთელი მათი რთული საქმე. ყოჩაღი შეხედულება, კოხტა სიარული და „უფროსების თვალით შექმა“—აი უმთავრესად რას თხოულობენ ისინი ჯარისკაცებისაგან.

— ახ, რომ იცოდეთ რა თვალით უყურებენ ყველანი თქვენს ინსტრუქტორებს!—მითხრა ერთმა ნაცნობმა ევროპიელმა.—ახლა მთელი სპარსეთი დიდ გაჭირვებაშია, ახალი მთავრობა ვერავის აძლევს ჯამაგირს. ხაზინა ცარიელია. გერმანელი ინსტრუქტორი, რომელსაც თქვენი ლიახოვი მუდამ უკან აყენებდა, თუმცა იგი სინიდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას,— აგერ სამი თვეა ჯამაგირს ვერ იღებს და კრინტსაც ვერა სძრავს, რუსის აფიცრები-კი,—რევოლიუციონერების მტრები და ნამდვილი ბურჯები ძველის შაჰის მთავრობისა,—რიგზე იღებენ თვე და თვე. ამას წინად მათთვის სპარსეთის მთავრობის ანგარიშში 360 ათასი მანეთი ისესხეს ბელგიელთა საბაჟოსგან. ყოველ რუსის აფიცერს 7 (შვიდი) ათასი მანეთი ეძლევა წელიწადში. ასეთ ჯამაგირით ყველგან კარგად იცხოვრებთ, არა თუ მარტო თეირანში. აკი ცხოვრობენ კიდეცა და რუსის აფიცრების მდიდრული ცხოვრება ძალაუნებურად თვალში ეჩხირება ყველას...

ძნელია ყველა ამის ნახვა და გაგონება! ამ ბრიგადის გამო აქ ხშირად შერცხვება და გაწითლდება ყოველი რუსი.

სპარსეთის სამხედრო საბჭომ დაადგინა: რა წამს პარლამენტი შეიკრიბება, თავდაპირველად ეს ბრიგადი მოვიშოროთ თავიდანაო. ხოლო იმ ნახევარ მილიონ მანეთით, რომელიც იხარჯება ბრიგადაზე, ახალი რაზმი მოვაწყოთო.

ამ ახალ რაზმის ინსტრუქტორებად, ალბად, გერმანელები იქნებიან. გერმანიის მთავრობა მეტად ხერხიანად და ფრთხილად იქცევა, ჯერ არაფერ საქმეში არ ერევა, მხოლოდ შორიდან-კი უჩვენებს, რომ მასთან დაახლოვება უფრო სასარგებლო იქნება სპარსეთისთვის.

**საგანგებო მატარებელი შაჰად ნამყოფისთვის.**

სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის მმართველობამ საგანგებო სწრაფი მატარებელი გაგზავნა ნაშაჰარის წამოსაყვანად კავკასიიდან ოდესაში. მატარებელში გამართულია სასადილო, სამზარეულო და საწოლი; ნაშაჰარის ჰარამხანისთვის ცალკე ვაგონია დამზადებული. სულ ამ მატარებელში 9 ვაგონია, ერთი მათგანი ბარგისთვის იქნება.

**არდებილის გუბერნატორად ნამყოფი.**

არდებილის გუბერნატორად ნამყოფი ცნობილი რეაქციონერი რაშიდ-ულ-მულკი და ცნობილი მდიდარი სპარსელი ვექილ-რიზა, რომლებიც აქამდე რუსეთის საკონსულოში ისხდნენ ბესტში, ეხლა ბესტიდან გამოვიდნენ და ქალაქში დასახლდნენ, რადგან სათარ-ხანმა აღუთქვათ, რომ მათ ხელს არავინ ახლებსო.

# ოსმალეთის ამბები

**იზვოლსკი ყირიმში მიდის.**

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი სექტემბრის გასულს წავა ყირიმში. როგორც ვიცით ამ მოკლე ხანში იქვე ყირიმში რუსთ-ხელმწიფესთან მოვლენ ოსმალეთის საგანგებო დეპუტატები.

**ოსმალეთის ფლოტის ალბუმი შავ-ზღვაში.**

ოსმალეთის მთავრობამ აცნობა რუსეთის საელჩოს სტამბოლში, რომ მალე ოსმალეთის ფლოტი ალბუმს გაჰმართავს და ზარბაზნის სროლაში ივარჯიშებს შავს ზღვაში.

აბდულ-ჰამიდის დროს ოსმალეთის ფლოტს ერთხელაც არ გაუვლია შავს ზღვაში.

**სომხის პატრიარქის საქმე.**

უთანხმოება ოსმალეთის მთავრობასა და სომხის სამღვდელოების შორის ჯერ არ გათავებულა. ოსმალეთის მთავრობა ძლიერა სცდილობს, რომ სომხის პატრიარქს უკან გაატანინოს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ ვერასა ხდება. სომეხ გრიგორიანების პატრიარქის გარდა, თანამდებობიდან გადადგა კათოლიკე-სომხების პატრიარქი საბაგიანიც. სომხებს იმედი აქვთ, რომ რომის პაპი ჩაერევა საქმეში და მათ მდგომარეობას გააუმჯობესებს ოსმალეთში.

ინგლისური გაზ. „ტაიმს“-ი სწერს: ოსმალეთის საქმეებში ამ ჟამად ყველაზე საყურადღებო საქმედ უნდა ჩაითვალოს სომხის პატრიარქის გადადგომა თანამდებობიდან, რადგან შესაძლებელია, რომ ამ საქმემ დაარღვიოს მცირე აზიის მყუდროება. ახალგაზდა ოსმალებმა სწორედ შეასრულეს კანონი და ადანის საქმეების გამო სიკვდილით დასაჯეს დამნაშავე მუსულმანები, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ამის გამო ბევრ მუსულმანის თანაგრძნობას დაჰკარგავდნენ. ამიტომ სომხის პატრიარქი უნდა დასჯერდეს ასეთს გამარჯვებას და მეტის-მეტი აღარ მოითხოვოს ახალგაზდა ოსმალებისგან.

**მაკედონიაში.**

მაკედონიაში ხელახლად გაჩნდა შეიარაღებული რაზმები. ოსმალეთის მთავრობამ განსაკუთრებული რაზმები გაგზავნა მათ წინააღმდეგ და გამოაცხადა, ვინც დანიშნულ ვადაზე იარაღს არ დაჰყრის, სიკვდილით იქნება დასჯილიო.

**რეაქციონერების დატუსაღება.**

9 სექტემბერს ღამით სტამბოლში დაატუსაღეს გაზეთ „სერბესტ“-ს რედაქტორი ჰუსეინ-ჰილმი-ბეი. მას ეთქვა ერთ მეზღვაურ აფიცრისთვის, მინდა ახალი საზოგადოება დავაარსო ახალ მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ტერორის საშუალებითო, რადგან ხალხს არ მოსწონს ეხლანდელი მთავრობაო. მე ევროპიელ ანარქისტებს ვიცნობ და მინდა მახმუდ-შევკეთ-ფაშისა, ენვერ-ბეისა და ნიაზი-ბეის მოკვლა მოვაწყოო. მეზღვაურ აფიცერს იმ წამსვე დაეტუსაღებინა ხილმი-ბეი.

1 სექტემბერსვე დააპატიმრეს კიდევ ერთი რეაქციონერი დერვიში სულეიმანი, რომელსაც ბოსფორში მიმავალ გემზე ხმა მაღლა საჯაროდ დაეგმო კონსტიტუცია.

# თეატრი და ხელოვნება

**სადებიუტო წარმოდგენა**

ჩვენი თეატრის სვე-ბედი ეტყობა ჯერ კიდევ ბევრს აინტერესებს: 12 სექტემბრის წარმოდგენაზე თეატრი თითქმის გაიჭედა. მიზეზი ამისა ის კი არ იყო, რომ უნდოდათ „ღალატი“ ენახათ. არა, „ღალატი“ დამსწრეთაგანს ბევრს ათჯერ და თხუთმეტჯერაც უნახავს. არც იშვიათ წარმოდგენის მოსმენის იმედი ჰქონდათ. მიზეზი ის იყო, რომ ამ სალამოს ქართული თეატრის მომავალ მუშაკებს თავიანთი ძალ-ღონე უნდა ეჩვენებინათ: ამ სალამოსთვის ხუთი დებიუტი იყო დანიშნული.

ქართული თეატრი დიდ კრიზისს განიცდის. ამაზე ბევრიც იწერება, ბევრსაც ლაპარაკობენ, მაგრამ საქმე ჯერ-ჯერობით იოტის ოდნავადაც არ წაწეულა. არც მუშაობა სჩანს ამ მხრივ, რომ კაცს იმედი მაინცა ჰქონდეს. უმოქმედობა, რყევა და უსისტემობაა. აშკარადა ვხედავთ, რომ ნიადაგი არის, მოთხოვნილება დიდია. ამას სახალხო თეატრის მაგალითი გვიმტკიცებს: ხალხი ბუზივით ეხვევა წარმოდგენებს. მიუხედავად ამისა, სათეატრო საქმეში ვერავითარ შემოქმედებას ვერ ვიჩენთ. ვერც სხვებსა ვბაძავთ და ორიგინალურიც ვერაფერი შეგვიქმნია, ისეთი, როგორსაც ჩვენი ცხოვრების თავისებურება თხოულობს. არა სჩანან ამ საქმის ფანატიკოსნიც, ცოდნითა და მხნეობით აღჭურვილნი.

ამის შემდეგ გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ყოველმა ახალმა რამემ სასცენო საქმეში, ყოველმა ახალმა მუშაკმა ამ ასპარეზზე დიდი ყურადღება მიიქციოს. შარშან ერთი დებიუტი იყო დანიშნული—იმხნელისა. ჯერ ისევ დებიუტამდე ბევრს სწერდნენ და ლაპარაკობდნენ—აქებდნენ დებიუტანტს. და ეს მიდგომილობით ან მეგობრობით კი არ მოსვლიათ. ერთად-ერთი მიზეზი ამისა ის იყო, რომ სურვილი სინამდვილედ ჩასთვალეს. ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხს, რომელსაც შინაური და გარეული საქმეები აწეწილ-დაწეწილი აქვს, ხშირად მოსდის ხოლმე ასეთი რამ: დღე-ღამე მხნელს ელის და ხშირად ასეთად უბრალო მომაკვდავი მიაჩნია...

სამწუხაროდ, დებიუტების საქმის მოწყობაც ვერ ვიცით ისე, როგორც საჭიროა. არსად არ გაგონილა, რომ კაცს, რომელსაც ფეხი არ შეუდგამს სცენაზე, პირველადვე უძნელესი და ურთულესი როლი მისცენ, ამასთან უხელმძღვანელოდ, უმასწავლებლოდ. რატომ, ყოფილა ასეთი მაგალითებიც, მაგრამ განსაკუთრებულ ნიჭის პატრონთა ცხოვრებაში. ჩვეულებრივად-კი ძნელია სიკეთე მოჰყვეს ამგვარ დებიუტს. ხომ შეიძლება, მაგალითად, თვით ნიჭიერი კაციც-კი შეკრთეს და როლი გააფუჭოს? ან ისეთ როლში გამოვიდეს, რომელიც იმის ნიჭის ხასიათს არ შეეფერება? ეს ერთი წარმოდგენა მთელ იმის მომავალს გადასწყვეტს და სცენამ შეიძლება მართლა სასარგებლო მუშაკი დაჰკარგოს.

ამ ჟამად-კი სიხარულის მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ 12 სექტემბრის წარმოდგენას ასეთი შედეგი არ მოჰყვა. ამ წარმოდგენამ მოლოდინი გაამართლა და დებიუტანტები, ზოგიერთები მაინც, ისეთები აღმოჩნდნენ, რომელთაგანაც ბევრს უნდა მოველოდეთ.

ორიოდე სიტყვა თვით წარმოდგენის შესახებ. რეჟისურის მხრივ წარმოდგენა ჩვეულებრივი იყო, შაბლონიური, ქართული. ახალი რამ არაფერში არა სჩანდა: არც ანსამბლში, არც მოწყობილებაში, არც მასსიურ სცენებში, არც გრიმებში. წვრილმანებიც, როგორც ყოველთვის, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. სხვაგან ეხლა ბევრს ლაპარაკობენ რეალიზმზე. იქ სცენაზე ბულბულებისსტვენასა და კატების კნავილს გაიგონებთ. მთვარეც თავის ადგილას არის ხოლმე, ტყეც ტყესა ჰგავს, ელვაც და ქუხილიც ბუნებრივია. ჩვენ სცენაზე-კი მზე შუაღამისას ამოდის, ხოლო მთვარე—შუადღისას, ქუხილი დამტვრეულ ფურგუნის ბრახა-ბრუხსა ჰგავს, ხოლო ზარის რეკა—რუსის დალაბანდის ხმას. ჩვენში ისაც კი ვერ მოუხერხებიათ, მაგალითად, რომ სურა, რომელიც წყლით ან ღვინით უნდა იყოს სავსე, მართლა აავსონ და ჭიქასა ან ყანწში ჩასხმის დროს, დაინახოს კაცმა, რომ მართლა გადმოდის რამე სურიდან... ყველა ამას არ ვამბობთ 12 სექტემბრის წარმოდგენის რეჟისორის სასაყვედუროდ. ეს წარმოდგენა წინანდელზე არაფრით ნაკლები არ იყო. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტს და ვამბობთ, რომ სეზონი იწყება და დროა ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება ამისთანებს.

დებიუტანტებს შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ზეინაბის როლის ამსრულებელს, ჩირგაძის ქალს. ძნელია მარტო ერთ პიესაში ნახვის დროს გაითვალისწინოს კაცმა ყოველი ნაკლი და ღირსება მსახიობისა, მაგრამ ამ ერთმა წარმოდგენამაც დამსწრეთათვის აშკარა ჰყო, რომ ახალგაზრდა ქალი უეჭველი ნიჭის პატრონია. ზეინაბის როლი მეტად რთულია და, მაშასადამე, ძნელი გასაპიროვნებელი. ჩვენის აზრით, ზეინაბის ხასიათი ბევრ წინააღმდეგობას და გაუგებრობას შეიცავს, მაგრამ ჩირგაძის ქალმა მაინც შესძლო და, რამდენადაც გამოუცდელ მსახიობს მოეთხოვება, საკმაოდ მკაფიოდ გადმოგვცა მისი მთავარი ძარღვი—გმირული სულის კვეთება, ტიტანისებური სიმტკიცე, რომელიც ერთნაირად ძლიერია როგორც სიყვარულში, ისე სიძულილში. ახალგაზდა დებიუტანტის ამპლუა, რამდენადაც ამისი გაგება ერთ წარმოდგენაზე შეიძლება, ძლიერი დრამატიული როლებია. ჯერეთ სცენისთვის ხამმა, ტეხნიკურ მხარეში სრულიად გამოუცდელმა, მიმიკა განუვითარებელმა ჩირგაძის ასულმა მაინც შესძლო მაყურებელთა გატაცება მესამე და მეხუთე მოქმედებებში. ეს კი იმისი მომასწავებელია, რომ არის დებიუტანტში ის ზეციური ნაპერწკალი, რომელიც სიცოცხლესა ჰქმნის სცენაზე. უმთავრესი ეს არის, დანარჩენი—მეორე ხარისხოვანია, რასაც მეცადინეობა, დაკვირვება და გამოცდილება გაასწორებს. ასეთი მეორე ხარისხოვანია ძლიერი, მაგრამ მოუხეშავი ხმა დებიუტანტისა. ხმასაც გასწორება, მოქნა უნდა, რასაც ეხლანდელ დროში ადვილად ახერხებენ. ჩირგაძის ხმა დაბალ ტონებში უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მაღალში. შეიძლება ეს იმ დიქციისა და პაფოსის ბრალიც იყოს, რომელიც ამ სალამოს ყველა დებიუტანტის ნაკლს შეადგნდა. გადაჭარბებული პაფოსი, ხშირად და უზომოდ ხმის აწევ-დაწევა, სიტყვების სიმღერით გამოთქმა, როგორც ჩვენ გაზეთში აღნიშნა ამას წინად შალვა დადიანმა, თითქმის სრულებით არ უდგება ქართულ ენას. თვით გმირულ პიესებსა და როლებშიაც კი ბუნებრივი ქართული გამოთქმა და ლაპარაკი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

დასასრულ, იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ ჩირგაძის ასული თავის ნიჭის განსავითარებლად მეცადინეობას და სწავლას არ მოაკლებს. საჭიროა სწავლა და მეცადინეობა, თუ უნდა ნამდვილ, სხვის გულში ცეცხლის ამთებ, მსახიობად გადაიქცეს და არა ისეთ სცენის-მოყვარედ დარჩეს, როგორიც არის ჩვენი მსახიობების დიდი უმრავლესობა. დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მიმიკას, პლასტიკას, სცენის შესწავლას, გრიმის ცოდნას და მრავალ სხვა მხარეს.

ოთარ-ბეგის როლს ასრულებდა ქავთარაძე, ხოლო სულეიმანისას—შარაშიძე. ძალიან მეძნელება ამ დებიუტანტებზე გადაჭრით და საბოლოო აზრის გამოთქმა. როგორც სცენაზე ახლად გამოსულთ, თუნდა როგორც სცენის მოყვარეთ, იმაზე მეტს, რაც ამ სალამოს მოგვცეს, ვერ მოვთხოვთ. ორივეს კარგი გარეგნობა, ხმა, დაკვირვება ახასიათებს, მაგრამ რა ნიჭს და უნარს გამოიჩენენ შემდეგში, ვერაფერს იტყვის კაცი. ხოლო ჩვენი სცენისთვის, თუ კი მას აირჩევენ თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზად, რომ სასარგებლონი და თვალსაჩინონი იქნებიან, ამაზე ლაპარაკიც კი მეტია. ყველაზე უფრო ჩვენი სცენა ინტელიგენტურ ძალებს საჭიროებს. ამ დებიუტანტებს კი, ინტელიგენტობის გარდა, როგორც ეტყობათ, სასცენო უნარიც შესწყვეთ. ძალიან და ძალიან საჭიროა ამ დებიუტანტების სხვა პიესებში ნახვა. შეიძლება სხვა ხასიათის ტიპების დახატვაში მართლა ნიჭი გამოიჩინონ. ორივეს, ჩვენის აზრით, ძალიან უშლიდა ხელს ის ნაკლი, რომელიც ზემოდ ჩირგაძის ასულის თამაშობაში აღვნიშნეთ: ხმის შეუფერებელი აწევ-დაწევა, სიმღერით ლაპარაკი. ეს რომ არა, შარაშიძის თამაშობა, მაგალითად, კარგი იქნებოდა. დამსწრეთაგანს ბევრს მოეწონა მის მიერ დახატული სულეიმან-ხანი.

გადაჭრით რისამე თქმა არც ყარაუსუფის როლის ამსრულებელზე, ფურცხვანიძეზე, შეიძლება. თუმცა მან დაკვირვებით და გამოცდილებით ჩაატარა თავისი როლი, მაგრამ ეს როლი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მსახიობს ფრთის გაშლის ნებას არ აძლევს.

ყველაზე სუსტი დებიუტანტებში დათოს როლის ამსრულებელი, ბახტაძე იყო. სუსტი ხმა, შეუფერებელი ჟესტიკულიაცია.

დანარჩენ მოთამაშეებზე აღარაფერს ვამბობთ, რადგან ძველი ნაცნობები არიან და ამავე პიესაში მრავალჯერ უნახავს ყველა ჩვენგანს.

# უცხოეთი

**შეერთებულ შტატების პრეზიდენტი და იაპონელები.**

შეერთებულ შტატებში მივიდა სამოგზაუროდ 50 იაპონელი სავაჭრო კომისარი. ქალ. მინეაპოლისში ამერიკელებმა მათ პატივსაცემლად გამართეს საუზმე, რომელსაც შტატების პრეზიდენტი ტაფტიც დაესწრო. პრეზიდენტმა დიდის ქებით მოიხსენია იაპონიის ვაჭრობა და მრეწველობა და ბოლოს განაცხადა: ამერიკასა და იაპონიას არასდროს არ მოსვლიათ რაიმე უთანხმოებაო.

**იაპონელები „ბანზაის“ ძახილით შეხვდნენ პრეზიდენტის სიტყვას.**

**პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში.**

ინგლისის პირველ მინისტრის სიტყვის მოსასმენად ბირმინჰამში 10 ათასზე მეტი სული შეიკრიბა. ასკიტმა სხვათა შორის განაცხადა, რომ თუ ლორდთა პალატა ბიუჯეტის უარყოფას გაჰბედავს, ლიბერალური პარტია მედგრად შეებრძოლება პალატას და მის უფლებათა გაუქმებას მოითხოვსო. დასასრულ, მან წინადადება მისცა კონსერვატორების მეთაურს ბალფურს, ეხლა მაინც გააცნობით ხალხს თქვენი საფინანსო პროგრამაო.

დეპუტატთა პალატამ საბოლოოდ დაამტკიცა სხვა და სხვა კანონები და ამ ჟამად მთელ თავის დროს ანდომებს ბიუჯეტის განხილვას და ალბად მალე გაათავებს ამ საქმეს. პალატიდან დამტკიცებული ბიუჯეტი გადაეცემა ლორდთა პალატას. ჯერ ნამდვილად არ იციან, როგორ მოიქცევიან ლორდები: გაჰბედვენ ბიუჯეტის უარყოფას თუ ვერა. ზოგს ჰფიქრობენ, რომ გინდ კონსერვატორების მეთაურებმაც ურჩიონ, ლორდები მაინც არ დამტკიცებენ ბიუჯეტსაო.

გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ი სწერს, რომ, როგორც ისმის, ლორდთა პალატის კონსერვატიულ პარტიის მეთაური ლორდი ლენსდოუნი ხელს იღებს მეთაურობაზე და მის ადგილას დაინიშნება გრაფი კოუდორიო. ლანსდოუნი ჰფიქრობს, რომ ბიუჯეტის უარყოფა დაჰღუპავს კონსერვატიულ პარტიასაც და ლორდთა პალატასაცაო, მაგრამ ამავე დროს მას ეშინიან, რომ ლორდთა უმეტესობა არ დაეთანხმება მის აზრსა.

# რუსეთი

**✦ მთავრობა ხელს უწყობდა პროვოკაციას.** გაზეთ „მატენ“-ში დაბეჭდილი ყოფილა რუსეთის მინისტრად ნამყოფის ნალაპარაკი. მინისტრად ნამყოფს „მატენის“ თანამშრომლისთვის, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს: „1905 წელში მთავრობა დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ ხომ სულ გაფუჭდა საქმე. მცხოვრებლების კონსერვატიული ნაწილიც კი ოპოზიციას მიემხრო. რუსეთის დამარცხებას თვითმპყრობელ წესწყობილებას აწერდნენ. რა უნდა გაეკეთებინა ამ შემთხვევაში მთავრობას? ვიტტემ მაშინ გადასწყვიტა, უკიდურესი მემარჯვენეების სახელის გატეხა. ამ მიზნით შინაგან საქმეთა მინისტრად ვიტტემ დურნოვო დანიშნა. დაიწყო კონტრ-რევოლიუციის მზადება. კონტრ-რევოლიუციის ორგანიზატორები სხვა და სხვა სისაძაგლეს ახდენდნენ და უკიდურეს მემარჯვენეებს სახელს უტეხდნენ, კონტრ-რევოლიუციის ორგანიზატორების ასეთმა მოქმედებამ რევოლიუციას მომხრე ჩამოაშორაო“.

„მატენის“ ამავე თანამშრომელს უნახავს ბურცევი და მისთვის გადაუცია მინისტრად ნამყოფის სიტყვები. ბურცევს უთქვამს, მინისტრად ნამყოფის სიტყვები მართალია, პროვოკაციებს მართლაც რევოლიუციონერების ხელის შეშლა ჰქონდათ მიზნადო.

**✦ საერობო უფროსი.** სოფელ ველიკაია სპასკის 160 გლეხს მოუნდომებია თემიდან გამოყოფა, მაგრამ თემს უარი უთქვამს. მაშინ გლეხებს საერობო უფროსისთვის მიუმართნიათ, საერობო უფროსს უთქვამს, თუ თემიდან გამოყოფა გინდათ 500 მანეთი მომცეთო. გლეხებს 200 მანეთი მიუციათ და 300 მანეთის მიცემა შემდეგისთვის დაჰპირებიან. თემის მოხელეებს რომ ეს გაუგიათ, მათაც საერობო უფროსისთვის მიუმართნიათ. საერობო უფროსს მათთვისაც ფული გამოურთმევია და რადგან ეს უკანასკნელნი მეტს დაჰპირებიან. ამიტომ „ანგარიშიანი“ უფროსი მათ მიმხრობია. პირველებს თავიანთი 200 მანეთი მოუთხოვნიათ, მაგრამ ცივი უარი მიუღიათ. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, საერობო უფროსს 4 გლეხიც გადაუსახლებია. გლეხებს გუბერნატორთან უჩივლიათ, მაგრამ ამაოდ, არაფერი გამოსულა!!


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—172)

# ქ. ქუთაისში

გაიხსნა **ოთხ კლასიანი ქალთა პროგიმნაზია სახელოსნო განყოფილებით.** პროგიმნაზიულ კლასებთან ერთად მოწაფეები შეისწავლიან: ჭრა-კერვას, მანქანაზე ჩულქების ქსოვას, კორსეტების კერვას, საუცხოო ხელსაქმეს, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე ცალკე განყოფილება მოზდილ და გათხოვილ ქალთათვის, რომელნიც შეისწავლიან ზემოხსენებულ ხელობებს. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება თითონ პროგიმნაზიაში—კახაკოვის ქ., სახლი № 17. (4—კვ.—3)

# ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი

**ე. ალმაზოვისა.**

შეიძლება შეკვეთა: ქალისა და ბავშვის სმკაულ-მოსართავისა, ტანისამოსისა, საზამთრო პალტოსი და საცვლისა; არის აგრეთვე გასასყიდი დამზადებული ხელოვნური ხელ-საქმე. ნემეცკაია., № 3. (1—454—1)

**ტ. მ. ფილოიანის**

# საკომერციო ცოდნის კურსებზე

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—14)

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი**

# საკომერციო ცოდნათა კურსები

**ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა.**

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუღალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას); 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—13)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.